<u>დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N2-ე აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით</u>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასებისა და მონიტორინგის წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასებისა და მონიტორინგის წესს;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს წარმართავს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყველა ფაკულტეტი/სკოლა წარმოდგენილები დეკანით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებით, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სტუდენტები, რომელთა წარდგენა მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანის მიერ, სხვადასხვა ჩართული მხარეები (პარტნიორები, დამსაქმებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო უწყებები, რომლებთანაც მიმდინარეობს თანამშრომლობა უნივერსიტეტის დონეზე და რომელთა იდენტიფიცირებასაც ახდენს სამუშაო ჯგუფი),სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს პირი, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად რექტორის მიერ ამ წესის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლითაც განისაზღვრება სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების დრო.

4. სტრატეგიული დაგეგმარებისას უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს შემდეგი მეთოდოლოგიით:

4.1. სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება საჭიროებათა კვლევა, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განათლების სფეროში მოქმედი დარგობრივი პრიორიტეტების, საგანმანათლებლო სფეროს ნორმატიული ბაზის, საინფორმაციო მასალებისა და წყაროების შესწავლა და ანალიზი;

ბ) შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში ჩართული პირების, ასევე უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული სხვა ორგანიზაციების) ინტერვიუირება;

გ) უნივერსიტეტის საქმიანობის აუდიტი;

დ) საჭიროებათა კვლევის ანგარიში მზადდება პირველი სამი ეტაპის შეჯამების საფუძველზე;

ე) უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობით და სხვა).

4.2. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ ქოლგას (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიულ ჩარჩოს (სტრატეგიული მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები):

ა) იმართება სტრატეგიული დაგეგმვის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის შიდა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

ბ) სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი შეხვედრის მონაწილეებს აცნობს საჭიროებათა კვლევის ანგარიშს და განიხილავს შედეგებს;

გ) სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი შეხვედრის მონაწილეების ჩართულობით ატარებს SWOT ანალიზს;

დ) ერთობლივი მუშაობით განისაზღვრება/განახლდება სტრატეგიული ქოლგა და სტრატეგიული ჩარჩო;

4.3. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება სტრატეგიული ქოლგის და ჩარჩოს თანახმად უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება;

4.4. სამუშაო ჯგუფის მიერ დგება სამოქმედო გეგმა, რომელიც ეყრდნობა სტრატეგიას და მოიცავს ამა თუ იმ მიზნის/ამოცანის მისაღწევ აქტივობებს, დროში გაწერილ გეგმას, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებს და საჭირო ბიუჯეტს.

5. ამ წესის მე-2 პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტებთან/სკოლებთან, წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმებულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 7-წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

6. სტრატეგიული განვითარების გეგმა - მისი ძირითადი დებულებები, მას შემდეგ რაც ის დამტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ, განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მოხდება მისი კომუნიკაცია სხვადასხვა ჩართულ მხარეებთან.

6. სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, განხორციელებული მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით;

7. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს, ახორციელებს:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 1წარმომადგენელი;

ბ)უნივერსიტეტის აუდიტის სამსახური;

გ) იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;

დ) რექტორის აპარატის წარმომადგენელი;

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს წარმომადგენელი.

ვ)სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის წარმომადგენელი;

ზ) სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობს აუდიტის სამსახურის უფროსი.

8. სტრატეგიული გეგმის შესრულებისა და მონიტორინგის ჯგუფს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ წარუდგენენ სამუშაო გეგმით გათვალიწინებული პირები;

9. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგებზე რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შესაბამისი დასკვნა წარედგინება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, რომელთა მიერ მიღებული იქნება ზომები საგანმანათლებლო,კვლევითი და/ან სტრუქტურულ ერთეულების მიმართ კონკრეტული დავალებების მიცემის გზით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად.

10. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის ან ახლად გამოჩენილი გარემოებების / კონტექსტის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში შესაძლოა საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა. ცვლილებების ინიცირებას და შემუშავებას ახდენს სამუშაო ჯგუფი, ხოლო დამტკიცება ხდება ამავე წესის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად.